საქართველოს პარლამენტის ვაკის მაჟორიტარი წევრის შალვა შავგულიძის

ბიურო

ქ.თბილისი ი. აბაშიძის ქ. N17 ელ.ფოსტა: vakismajoritarisbiuro@yahoo.com ტელ: 222 34 69

N 552

24 / 09/ 2014 წ.

ქალაქ თბილისის მერს

ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

საქართველოს პარლამენტის ვაკის მაჟორიტარი წევრის შალვა შავგულიძის ბიუროში შემოვიდა ამავე რაიონის ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე კორპუსის ბინათმშენებლობის წევრთა კოლექტიური განცხადება, სადაც აპროტესტებენ მათი მშენებარე კორპუსის მიმდებარედ დაწყებული მრავალსართულიანი სახლის მშენებლობას და ითხოვენ შეუამდგომლობა გავუწიოთ თქვენს წინაშე მშენებლობის შეჩერებასა და ნებართვის გაუქმებას.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული მშენებლობის ნებართვა გაცემულია კანონდარღვევებით 2014 წლის მარტში, საეჭვოდ დაჩქარებულ ვადებში (2 დღეში) მოხდა პროექტის კორექტირება, კოეფიციენტის შეცვლა სართულების გაზრდის მიზნით. სახლს აშენებს კერძო კომპანია "ნაიება 2008".

აღნიშნული სახლი (ყიფშიძის ქ. N9 საკადასტრო კოდი 01.14.14.003.073) ნამდვილად შეუქმნის პრობლემებს ყიფშიძის ქ. N5ბ მცხოვრებლებს. მშენებლობა იმდენად ახლოსაა მიბჯენილი მიმდინარე შენობებთან, რომ იგი არღვევს განაშენიანების ყველა პირობებს.

განმცხადებლებთა შორის არიან 1991 წლიდან სახელმწიფოს მოთხოვნით ბინაჩაბარებულები, რომლებიც ამ დრომდე ელოდებიან ბინებს.

ვფიქრობ ქალაქის ყოფილ მესვეურთა მიზეზებით ისედაც ტანჯვაგამოვლილი მოქალაქეებისათვის, ახალი პრობლემების შექმნა არ იქნება ძართებული.

აქედან გამომდინარე გთხოვთ აღნიშნული საკითხის განხილვას მშენებლობის შეჩერების მიზნით, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით.

დანართი: 7 ფურცელი

პატივისცემით,
ბიუროს ხელმძღვანელი
თეიმურაზ კიკნაძე

ქ. თბილისის ვაკის მაჟორიტარ პარლამენტის წევრს,
ბატონ შალვა შავგულიძეს

ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. 5, ბ-კორპუსის
ბინათმშენებლობის წევრების სახელით
ზ. მაისურაძე, გ. მეტრეველი, ნ. სალიბეგაშვილი,
ზ. ბერიშვილი, ო. დოლიძე, ლ. შელია, ნ. ძამანაშვილი,
თ. გიორგაძე, დ. სოკოლოვი, ე. მიხელაშვილი

ქ. თბილისი, პეკინის 19, ბ. 40
საკონტაქტო ტელეფონი: 571 20 50 91

ბატონო შალვა,

<u>გთხოვთ</u>, გაგვიწიოთ შუამდგომლობა ქალაქ თბილისის მთავრობასთან, რომ ქალაქ თბილისის მერმა, ბატონმა დავით ნარმანიამ პირად კონტროლზე აიყვანოს ქვემოთ მოცემული დარღვევები ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა № 9-ში:

1. ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქუჩა № 9-ში,საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.073, სულ ერთი თვეა დაწყებულია და ინტენსიური ტემპებით მიმდინარეობს ქვაბულის ამოღება კორექტირებული პროექტით მაღალი კოეფიციენტის მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 2014 წლის მარტში საეჭვოდ დაჩქარებული წესით 2 დღის ვადაში გაცემული ნებართვის საფუძველზე. კორექტირებული პროექტით მაღალი კოეფიციენტის მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გათვალისწინებულია მიწისქვეშა 2-სართულიანი აფტოფარეხები. მშენებლობა განეკუთვნება კერძო სამშენებლო კომპანიას ,, ნათება 2008", დირექტორი მალხაზ გამყრელიძე.

2. ყიფშიძის ქუჩა № 9-ის საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.073,

2014 წლის დასაწყისში უკვე 2-ჯერ შეთანხმებული პროექტისა და გეგმის მიხედვით ეს ახალი მშენებლობა ძალიან ახლოს მოდის ჩვენს მშენებლობასთან, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, ყიფშიძის ქუჩა № 5, ,,ბ" კორპუსთან, რომლის საკადასტრო კოდია: 01.14.14.003.143 , რაც დაუშვებელია,

3. დარღვეულია ინფრასტრუქტურა, სასიცოცხლო ნორმები

4. ახალი მშენებლობა, ყიფშიძის ქუჩა № 9, საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.073,

ძალიან მაღალია მიწის ნიშნულის ზემოთ, ასევე ძალიან მაღალი კოეფიციენტის საცხოვრებელი სახლია არსებული იმ პატარა ტერიტორიისათვის, სადაც ისედაც საერთოდ არ არის გამწვანება და არც რაიმე პერსპექტივა არსებობს მომავალში.

5. ახალი მშენებლობის, ყიფშიძის ქუჩა № 9 პროექტით შეთანხმებულია და გაცემულია ნებართვა მიწისქვეშ დაპროექტებული 2-სართულიანი ავტოფარეხებისა, რაც 2003 წლიდან შეჩერებული ჩვენი კორპუსის, ყიფშიძის ქუჩა №5, ,,ბ" კორპუსისათვის დიდი საფრთხის შემცველია.

6. გათვალისწინებული უნდა იქნას ამჟამად უკვე თვალნათლივ არსებული რეალობა, რაც აშკარაა ადგილზე დათვალიერებით: ***აღარ გვექნება შუქი, მზე, ჰაერი.***

7. გათვალისწინებულ უნდა იქნას ბუნებაში მოსალოდნელი მიწისძვრები და კატაკლიზმები, რაც ბოლო წლებში გახშირდა.

8. ჩვენი მრავალბინიანი საცხოვრებელი მშენებლობის, ყიფშიძის ქუჩა №5, ,,ბ" კორპუსის წევრების, 1991 წლიდან ბინაჩაბარებულთა საქართველოს მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრების განცხადებებისა და მრავალი თხოვნის საფუძველზე საქმის პროფესიულ დონეზე შესწავლის შემდეგ ქ.თბილისის საკრებულოს დიდი ძალისხმევის ფასად, 2014 წლის მარტის თვეში უკვე რეალურად იქნა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები ყიფშიძის ქუჩა № 5, ,,ბ" კორპუსის მშენებლობის გასაგრძელებლად, რაც ძალიან დიდი მონაპოვარია 2003 წლიდან შეჩერებული მშენებლობისათვის, განსაკუთრებით კი მისი ბინათმშენებლობის წევრთათვის, საქართველოს მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც 2003 წლიდან, წლების განმავლობაში ვიმყოფებოდით კერძო მონოპოლისტების შ.პ.ს. "ამირანი"-ს ტყვეობაში, საიდენტიფიკაციო კოდი: № 208153996

9. ჩვენი მშენებარე კორპუსი ისედაც უკვე დაბნელებულია გარშემო არსებული, ჩვენს შემდგომ დაწყებული და დასრულებული საცხოვრებელი მაღალსართულიანი სახლების, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით მდებარე გარემოცვაში. სამხრეთით კი ჩვენი კორპუსის, ყიფშიძის ქუჩა № 5, ,,ბ" კორპუსის, საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.143 ,,ტყუპის ცალი" ყიფშიძის ქუჩა №5-ში მდებარე ,,ა" კორპუსის მაღალსართულიანი საცხოვრებელია, რომელიც ქალაქის მთავრობამ ჩაიბარა 2000 წელს, საკადასტრო კოდით: 01.14.14.003.002

უმორჩილესად გთხოვთ:

1. გაგვიწიოთ შუამდგომლობა. რომ ქალაქ თბილისის მერმა პირად კონტროლზე აიყვანოს ქვემოთ მოცემული დარღვევები ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა № 9-ში, , საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.073 , ძველი

2.. შეჩერდეს ყიფშიძის ქუჩა № 9-ში, საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.073 კორექტირებული პროექტით, 2014 წლის დასაწყისში მეტად საეჭვოდ 2 დღეში გაცემული ნებართვით დაწყებული მშენებლობა და გაუქმდეს ნებართვა.

3.. ეს სახლი თუ აშენდა, ჩვენი ბინებისათვის ნამდვილი კატასტროფაა... ჩვენი უსაფრთხოება დაცული არ იქნება... დაირღვევა ადამიანების სასიცოცხლო ნორმები, საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები...: **არ გვექნება შუქი, მზე, ჰაერი**

4.. ეს იქნება ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების, ჩვენი ოჯახების კერძო საკუთრების უფლების ჩამორთმევის ტოლფასი; ჩვენი მომავალი საცხოვრისი დაემსგავსება სარდაფებს.

5. ეს იქნება ჩვენი ოჯახების მოქცევა გამდიდრებითა და სიხარბით შეპყრობილი კერძო პირების მონოპოლისტური საქმიანობის ტყვეობაში, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენს სიცოცხლეს და თავისუფლებას.

თქვენ, ასევე ქალაქის მერს, შეგიძლიათ თავიდან აგვაცილოთ ყველა ზემოჩამოთვლილი საფრთხე, დაიცვათ ჩვენი კონსტიტუციური უფლებები, მოგვცეთ საშუალება ვიცხოვროთ ხარისხიანად აშენებულ და უსაფრთხო გარემოში, რომ ჩვენ არ გავხდეთ კერძო პირების,მონოპოლისტური საქმიანობის მონები.

ვითხოვთ დაგვიცვას ქალაქ თბილისის მთავრობამ , საქართველოს ხელისუფლებამ, ამის დიდი იმედი გვაქვს.

პატივისცემით,

1) [illegible]
2) [illegible]
3) [illegible]
4) [illegible]
5) [illegible]
6) [illegible]
7) [illegible]
8) [illegible]
9) [illegible]
10) [illegible]
11) [illegible]
12) [illegible]
13) [illegible]
14) [illegible]
15) [illegible]
16) [illegible]
17) [illegible]
18) [illegible]

ქ. თბილისი
18 [illegible] 2014

ბარ: პერიოდ ქ. №19; ნ. 40